

ს/ს „ენერგოკავშირი“-ს

/ს/კ 200095887, იურიდიული მისამართი: თბილისი, მუხიანის I მ/რ; კორპ-13/

მესამე მოწვევის მორიგი საერთო კრების შესახებ

განცხადება

2022 წლის 25 მაისს მოწვეული იყო ს/ს „ენერგოკავშირი“-ს მეორე მოწვევის მორიგი საერთო კრება, კრება არ იყო გადაწყვეტილებაუნარიანი, რის გამოც საზოგადოების აქციონერებს ვიწვევთ მესამე მოწვევის მორიგ საერთო კრებაზე 2022 წლის 23 ივნისს, ხუთშაბათს, დღის 12 საათზე, მისამართზე ქ. თბილისი მუხიანის დას. I მ/რ; მე-5 კორპ.

დღის წესრიგი:

1. 2021 წლის წლიური ანგარიში;
2. 2021 წლის დირექტორის ანგარიშის წარმოდგენა და დამტკიცება;
3. 2021 წლის სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშის წარმოდგენა და დამტკიცება;
4. აუდიტორის არჩევა.

დღის წესრიგის საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღება და მმართველი ორგანოს წევრების წლიური ანგარიშის პროექტის მიღება აქციონერებს შეუძლიათ ს/ს „ენერგოკავშირი“-ს ოფისში.

კაპიტალის სულ მცირე 5 პროცენტის მფლობელ აქციონერს ან აქციონერთა ჯგუფს უფლება აქვს საერთო კრების ჩატარების თარიღამდე 14 დღით ადრე წერილობით მიმართოს ხელმძღვანელ ორგანოს და: ა) მოითხოვოს საერთო კრების დღის წესრიგში საკითხების დამატება და თითოეულ საკითხს დაურთოს შესაბამისი დასაბუთება ან მისაღები გადაწყვეტილების პროექტი; 2) წარადგინოს საერთო კრების დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე მისაღები გადაწყვეტილებების პროექტები და დასაბუთება.

საერთო კრების სააღრიცხვო დღე არის 2022 წლის 10 ივნისი 18 სთ.

კრების მუშაობაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ სს „კავკასრეესტრში“ სააღრიცხვო დღეს, 2022 წლის 10 ივნისს, 18 საათის მდგომარეობით რეგისტრირებულ ჩვეულებრივი აქციის მფლობელ აქციონერებს (ან მათი წარმომადგენლები). მსურველებს ამ ფაქტის შემოწმება შეუძლიათ ს/ს „კავკასრეესტრში“ მის: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 71, მე-10 ბლოკი, მე-7 სართული, თბილისი 0186, ტელ: 2 500-211

სს „ენერგოკავშირი“-ს

გენერალური დირექტორი


/ვაჟა მათხურაძე/

